

**კვლავ „ქრისტე აღსდგა!“
ONCE AGAIN KRISTE AĠSDGA!
(CHRIST IS RISEN!)**

დამანა მელიქიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

Damana Melikishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia

ABSTRACT

The present paper deals with the problem of the use of parallel forms “kriste aġ-s-dga” - or “kriste aġ-dga” in the modern standard Georgian language. Based on the diachronic analysis of the system and construction of the polypersonal Georgian verb, it is argued that in this syntagma aġ-s-dga is not monopersonal, but a bipersonal verb: aġ-s-dga igi mas (kueqanasa /zeda/) (he is risen above it (Earth) - kuesḡnelit//jojoxetit (-gan) (from hell). Here the prefix s- is used correctly according to the norms of the old Georgian language: it is a marker of an indirect object in the dative case (kueqanasa) (above Earth).

“kriste aġsdga!” refers to the unique, sacred event - the resurrection of Christ. Only on the Feast of the Resurrection of Christ, it is said: “kriste aġ-s-dga mḡvdretit (kuesḡnelit, jojoxetit), siḡudilisa siḡudilita damtrgunveli da saplavebis shinata cxovrebis mimniḡebeli” (= Christ is risen from the dead (from hell), trampling down death by death, and upon those in the tombs bestowing life): only Christ, trampling down death, “aġ-s-dga kuesḡnelit” (kvesḡnelidan, jojoxetit -gan)” (is risen from hell), kueqanasa (zeda)” (above Earth).

Thus, through the polypersonal verb created by Georgian analytical and synthetical way of thinking, physical and metaphysical phenomena are distinguished from one another and a unique event is revealed - the sacral mystery of the resurrection of Christ from the dead.

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, ქართული ზმნის მრავალპირიანობა, კანონიკური ფორმა.

Keywords: Georgian Language, Polypersonalism of Georgian Verbs, Canonical Form.

„ქუთაისური საუბრების“ მე-17 კონფერენცია ეძღვნება ამ „საუბრებისა“ და „ქართველური მემკვიდრეობის“ სერიის დამაარსებლის, ტარიელ ფუტყარაძის ხსოვნას.

ტარიელ ფუტყარაძის საენათმეცნიერო თუ საკამათოდ ქცეული ეთნოლინგვისტური ხასიათის ნაშრომები, როგორცაა: „ქართველთა

დედაენა და დიალექტები“ (2008), „ევროპული ქარტია რეგიონული და უმცირესობის ენათა შესახებ“ და საქართველოში ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვის საკითხი“ (2009), „ქართველოლოგიის ორგვარი დაგეგმვა 1917-35 წლებში“ (ია ვაშაკიძის თანაავტორობით, 2011), „ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები“ (2019)... გამოირჩევა უხვი ემპირიული მასალის გამოწვლილვითი, დამაჯერებელი ანალიზითა და კვლევის დახვეწილი მეთოდოლოგიით.

ამ მხრივ სამაგალითოა მისი (ია ვაშაკიძის თანაავტორობით) საკმაოდ ვრცელი სტატია „ქრისტე აღდგა თუ ქრისტე აღსდგა“ (2020).

„ქუთაისური საუბრები – XVII“ ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის დღეებს დაემთხვა და ამიტომ შევარჩიე ეს თემა: **„ქრისტე აღდგა თუ ქრისტე აღსდგა?“** ამ შესიტყვების ზმნური ფორმების მართებულობის საკითხი პერიოდულად საკამათო ხდება ხოლმე სამეცნიერო საზოგადოებაში და ხშირად პრესის ფურცლებზეც ვრცელდება. სტატიაში სკრუპულოზურობითაა განხილული ამ თემასთან დაკავშირებული ყველა მოსაზრება (კამათში ჩართული იყო თითქმის მთელი საენათმეცნიერო საზოგადოება სამეცნიერო სივრცესა თუ სოციალურ ქსელებში) და წარმოდგენილია მდიდარი ფაქტობრივი მასალა (XVIII-XIX საუკუნეების ტექსტებისა, მათ შორის ლექსიკონებისაც), რომელშიც მოცემულ კონტექსტში დადასტურებულია **აღსდგა** ფორმა (სტატიაში განხილულია **აღსვება** ტერმინის გავრცელება და მნიშვნელობაც).

სტატიაში წარმოდგენილია **ქრისტე აღსდგა** საკამათო კონტექსტთან დაკავშირებული ყველა – ძველი თუ ახალი მოსაზრება, რომლებიც ძირითადად სამ ჯგუფადაა დაყოფილი. ამ განსხვავებულ მოსაზრებებს ერთი რამ აერთიანებს: კერძოდ, მოცემულ კონტექსტში **აღსდგა** ფორმა ერთპირიანადაა მიჩნეული და, აქედან გამომდინარე, **ს-** პრეფიქსი ზედმეტადაა მიჩნეული სამი სხვადასხვა არგუმენტის (საფუძვლის) გამო:

1. **დასაშვებია**, როგორც ტრადიციულად დადასტურებული ძველ და ახალ წერილობით ძეგლებში და საეკლესიო მსახურებაში; აღნიშნული ფორმის გამოყენება მორწმუნის სუბიექტური არჩევანის საკითხადაა მიჩნეული.

„თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“, სამეცნიერო ლიტერატურაში **„ქრისტე აღდგა“** ფორმის პარალელურად, გამონაკლისის სახით, დასაშვებადაა მიჩნეული **„ქრისტე აღსდგა“** ფორმის გამოყენება (ა. შანიძე, ბ. ფოჩუა, შ. აფრიდონიძე...);

2. **დასაშვებია**, როგორც ფაკულტატიური ფორმოზრივი საშუალება, რომელიც ასრულებს ერთი სიტყვის განსხვავებულ მნიშვნელობათა („გაცოცხლება, განახლება, აღორძინება“) ფორმოზრივად გარჩევის ფუნქციას (ბ. ჯორბენაძე, ჟ. ფეიქრიშვილი).

3. **დაუშვებელია**, როგორც არასწორი, მცდარი ფორმა (ლ. ღვინჯილია). მაგრამ ბოლოს, როგორც ვხედავთ, საქმე იქამდე მივიდა, რომ დღეს თითქმის ყველა საინფორმაციო საშუალება – ტელე-რადიომუწყებლობა თუ ბეჭდვითი სიტყვა – გაზეთი და ჟურნალი აჰყვას სრულიად უსაფუძვლო და ყოველმხრივ გაუმართლებელ **შეტევას ქართული ენის (ზმნის)**

უსაზღვრო შესაძლებლობის წინააღმდეგ: ის საკრალური აზრი, რომელიც ქართულმა ენამ გამოხატა „ქრისტე აღსდგა“ შესიტყვებით, ვერც ერთმა ენამ ვერ შეძლო.

სამწუხაროდ, **აღსდგა** ფორმას ერთპირიანად განიხილავენ და **ს-**პრეფიქსის გამოყენება გრამატიკული წესიდან გადახვევად და შეცდომად მიაჩნიათ. ამას კი იმით ხსნიან, რომ ეს პრეფიქსი ამ შემთხვევაში ჩვეულებრივი ფიზიკური მოქმედებისაგან განსასხვავებლად „სამკაულადაა“ ჩასმული, ფორმალური დიფერენცირებისათვის, სტილისტური თუ სხვა დანიშნულებით.

შეცდომაა, როდესაც „ქრისტე აღსდგა“ კონტექსტში **აღსდგა** ზმნის ფორმა ერთპირიანადაა გაგებული: სინამდვილეში ეს ორპირიანი გარდაუვალი ზმნის **R-ები** (I დიათეზის) სტრუქტურის ერთადერთი შესაძლებელი კონტექსტია, სადაც იგი ორპირიანია და ნიშნავს იმას, რომ: „ქრისტე **აღ-ს-დგ-ა** ჯოჯოხეთით ქუეყანასა“ (აღ-ს-დგ-ა იგი მას ქუესკნელით (>ით-გან). აქ **ს-**პრეფიქსი მესამე ირიბი ობიექტური პირის (=ქუეყანასა) მარკერია, რომელიც მხოლოდ ამ კონტექსტში იგულისხმება: არ არსებობს მკვდრეთით ქვესკნელიდან კაცის – ადამიანის აღდგომის ფაქტი: ჯოჯოხეთიდან, ქვესკნელიდან დედამიწაზე (ქუეყანასა) **აღდგომა ღვთის განგებით** მხოლოდ კაცობრიობის მხსნელს, მაცხოვარს – ქრისტეს შეეძლო.

იშვიათ შემთხვევაში დადასტურებულია ტექსტებში **აღ-ჰ-ს-დგა** ფორმაც სამპირიან ზმნასთან: ნაბუქოდონოსორ **მეფემან აღ-ჰ-ს-დგ-ა ხატი ველსა დიერისასა**“. **აღ-ჰ-ს-დგ-ა მან მას იგი** – სამპირიანი ზმნაა: აქ სამივე პირს აქვს ნიშანი: პირის ნიშნის გამოხატვის წესი დარღვეულია: მთარგმნელმა ფრიად იღვაწა, რომ ირიბ ობიექტთან ერთად პირდაპირი ობიექტიც გამოეხატა **ჰ-**პრეფიქსით, რომ კონტექსტის შინაარსი უფრო გამოეკვეთა.

აღსდგა კანონიკური ფორმაა, რადგან ისტორიულად **აღსდგა** ორვალენტიანი და ორპირიანია. ეს არის ე.წ. „დაჰბადა“ ტიპის ზმნა: **დაჰბადა** მან იგი ქუეყანასა (>ზედა); **და-ე-ბადა** იგი ქუეყანასა > ქვეყანაზე; **ჩა(და)ჰფლა** მან იგი მას (ქუეყანასა = მიწასა > (ში); **დაეფლა** იგი მიწასა > მიწაში; **აღსდგა** იგი ქუეყანას(ა)>ზე...

ამ ტიპის სამპირიანი ზმნების კონვერსიული ორპირიანი ე-პრეფიქსიანი ფორმის მიცემითბრუნვიან ობიექტს **-ზედა, -ში** თანდებული დაერთო და ზმნა ერთპირიანად იქცა: შესაბამისად, ე-პრეფიქსი შეცვალა **ი-**პრეფიქსმა (**დაეზადა > დაიზადა იგი, ჩა/დაეფლა > ჩა/დაიფლა**) იგი. თუმცა კი ზოგჯერ ე-პრეფიქსიანი ფორმაც იხმარება (**ჩაეფლა/ო** იგი ტლაპოში).

რაც შეეხება **აღსდგა** (იგი მას) ორპირიან ზმნას, აქაც იგივე მოხდა: ორი პირიდან ერთი – ობიექტი ცნობიერებაში დაიკარგა: **აღსდგა** იგი მას > **აღდგა** იგი. შესაბამისად, პირის ნიშანიც დაიკარგა. მაგრამ ეს არ ეხება მაცხოვრის, ქრისტეს აღდგომის **უნიკალურ საკრალურ მოვლენას, დღესასწაულს**, ამიტომ სწორედ მხოლოდ ქრისტეს აღდგომის დღესასწაულზე ითქმის: „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით (ქუესკნელით, ჯოჯოხეთით), სიკუდილისა სიკუდილითა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი“.

ამ საკრალური მოვლენის ენობრივი ნიშნით გაფორმება მხოლოდ მრავალპირიანი, სამპირიანი სტრუქტურის ზმნას შეეძლო და ქართველი მთარგმნელისათვის ეს საიდუმლო შინაგანად იმდენად ღრმად იყო გაცნობიერებული, რომ იგი, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში **ს-** პრეფიქსით აღნიშნავდა ამ უნიკალურ მოვლენას, რასაც ქრისტეს აღდგომა ჰქვია. თორემ, რამდენიც გნებავთ, იმდენი კონტექსტია ერთპირიანი **აღდგა** ზმნისა.

ქვემოთ წარმოვადგენთ **აღსდგა** ზმნური ფორმის გამოყენების შემთხვევებს სხვადასხვა კონტექსტში. **აღსდგა** ძირითადად სამგვარი შინაარსით დასტურდება, რაც ემთხვევა სოციალურ ქსელებსა თუ სამეცნიერო სივრცეში გამოქვეყნებულ ინტერპრეტაციებს:¹

1. ესაა კანონიკური ფორმა: მაცხოვართან, ქრისტესთან მიმართებით; **აღ-ს-დგ-ა** ზმნა არის ორპირიანი:

ქრისტე **აღსდგა** მკუდრეთით (პარიზის ლექციონარი, 142:2);

იტყვის, რამეთუ ქრისტე მოკუდა და **აღსდგა** (კლიმაქსი, 203: 20-21);

არა არს აქა, არამედ **აღსდგა** (თეოფილაქტე ბულგარელი, თარგმანებად ლუკას სახარებისად).

2. **აღ-ს-დგ-ა** სამპირიანი ფორმაა, **ს-** ირიბი ობიექტის ნიშანია:

თვითოს თავს **აღსდგა** ხუთები (წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში, 373: 22) (**აღ-ს-დგ-ა** მან მას იგი);

მეფემან ნაბუქოდონოსორ **აღსდგა** იგი (ხატი) ველსა (შორის) დეირისასა (**აღ-ს-დგ-ა** მან მას იგი).

3. ნაბუქოდონოსორ მეუფემან **ჰქმნა** ხატი ოქროისა და **აღსდგა** იგი ველსა შორის დეირისასა, სოფელსა შინა ბაბილონსა.

აღ-ჰ-ს-დგ-ა ფორმაში (ასევე, **ჰ-ქმნ-ა** ფორმაში) პირდაპირ ობიექტსაც აქვს ნიშანი, რაც ნორმის დარღვევაა.

4. **აღსდგა** ერთპირიანი ზმნაა, სადაც **ს-** ირიბი ობიექტის პრეფიქსის გამოყენება უადგილოა, შეცდომაა (როგორც ჩანს, ანალოგიის გავლენითაა ნახმარი):

და მყის **აღსდგა** წინაშე მისსა (კიმენი I, 337: 15);

და ვითარ იხილნა იგინი ბერმან, **აღსდგა** (კლიმაქსი, 8:20);

მყის **აღსდგა** და ვიდოდა წინაშე ყოველთასა (კიმენი I, 338: 2);

დედაკაცმან, ვითარცა იხილა ძე თჳსი განცოცხლებული, სიხარულით **აღსდგა...** (ქართლის ცხოვრება, 40: 30);

და **აღსდგა** ყოველი სიმრავლე მათი (თეოფილაქტე ბულგარელი, თარგმანებად ლუკას სახარებისად, 395).

5. **აღსდგა** ფორმას სტილისტური, ემოციური დატვირთვა აქვს (გამშვენებული, მაღალი სტილი, აქცენტირება მოვლენისა). უმთავრესად გვიანდელ ტექსტებში გვხვდება:

¹ კონტექსტები ძველი ქართული ტექსტების ინტერნეტბაზიდან ამოკრება თსუ აღმოსავლური ქრისტიანობის კვლევების მიმართულების დოქტორანტმა ნინო გიორგაძემ.

ხელნაწერის ფოტო და მასალა „საწინასწარმეტყველო საკითხავიდან“ („მარხვანიდან“) მოგვარდა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის, არაბისტიკის მიმართულების ბაკალავრმა ლადო ზირაქაშვილმა.

აჰა, ამჟამად **აღსდგა** შფოთი აღრეულობისა დიდისა სამეფოსა შინა ჭინელთასა (ცხოვრება ორბელიანთა (16: 19-21);

ესდენმა სისხლმა დენა დაუწყო, რომ დიდროვანი ღვარები **აღსდგა** (შაჰნამე ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, ტ. 3, 412: 5);

აღსდგა მეფე და გარდამოვიდა ტახტისაგან (ცხოვრება ორბელიანთა, 81: 33-34).

გამოყენებული ლიტერატურა

აბულაძე 1973: აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი, 1973.

აფრიდონიძე 2009: აფრიდონიძე შ., ჩვენი ენა ქართული. თბილისი, 2009.

ფეიქრიშვილი 2017: ფეიქრიშვილი ჟ., ქრისტე აღდგა თუ აღსდგა? საბა, №17, 2017.

ფოჩხუა 1970: ფოჩხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია. თბილისი, 1970.

ფუტკარაძე... 2020: ფუტკარაძე ტ., ვაშაკიძე ი., „ქრისტე აღდგა, აღსდგა“ თუ „ქრისტე აღდგა“? საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა II სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისი, 2020.

შანიძე 1980 შანიძე ა., თხზულებანი, ტ. II. თბილისი, 1980.

შანიძე 1981: შანიძე ა., თხზულებანი, ტ. III. თბილისი, 1981.

ჯორბენაძე 1985: ჯორბენაძე ბ., ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები. თბილისი, 1985.

ხაჭაპურიძე 2017: ხაჭაპურიძე ლ., ქართველი მართლმადიდებელი მრევლის მეტყველება, ქუთაისი, 2017.

ხახიაშვილი 2014: ხახიაშვილი ნ., „ქრისტე აღდგა“ თუ „ქრისტე აღსდგა“. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი XIV. თბილისი, 2014.

წყაროები

თეოფილაქტე ბულგარელი, თარგმანებად ლუკას სახარებისად <https://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etcg/cauc/ageo/gelati/lukatarg/lukat.htm> დამოწმება: 17.01.2021.

კიმენი I <https://titus.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/ageo/keimena/keimena2/keimelex.htm> დამოწმება: 17.01.2021.

კლიმაქსი <https://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etcg/cauc/ageo/ascetica/ioklimax/iokli.htm> დამოწმება: 17.01.2021.

პარიზის ლექციონარი <https://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etcs/cauc/ageo/lekt/lektpar/lekt.htm> დამოწმება: 20.01.2021.

ქართლის ცხოვრება <https://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etcs/cauc/ageo/kcx1/kcx1.htm> დამოწმება: 21.01.2021.

შაჰნამე, ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები <https://titus.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/mgeo/sahn/sahn3d/sahn3.htm?sahn3002.htm> დამოწმება: 20.01.2021.

ცხოვრება ორბელიანთა <https://titus.uni-frankfurt.de/texte/etcg/cauc/mgeo/steporb/stepo.htm> დამოწმება: 21.01.2021

წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში <https://titus.uni-frankfurt.de/texte/etcg/cauc/ageo/gh/giorgi/giorg.htm> დამოწმება: 21.01.2021.

